საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-128

23/02/2022

ქ. თბილისი

„ღსს „აკკორდ ინშაათ სანაიე“-ს წარმომადგენლობა საქართველოში „აკკორდ ჯორჯია“-ს ასფალტის წარმოების საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №ი-36 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 23 დეკემბერს სამინისტროს მომართა ღსს სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში „აკკორდ ჯორჯიას“ დირექტორმა და ითხოვა 2011 წლის 14 აპრილს გაცემული №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2011 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ღსს „აკკორდ ინშაათ სანაიე“-ს წარმომადგენლობა საქართველოში „აკკორდ ჯორჯიას“ ასფალტის წარმოებაზე (დაბა თიანეთი) გაიცა №3 (14/04/2011) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმო 2015 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ღსს სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში „აკკორდ ჯორჯიას“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ღსს „აკკორდ ინშაათ სანაიე“-ს წარმომადგენლობა საქართველოში „აკკორდ ჯორჯია“-ს ასფალტის წარმოების საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №ი-36 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ღსს სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში „აკკორდ ჯორჯიას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ღსს სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდ-ის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში „აკკორდ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი